## რეგისტრაციის პროცედურები:

- ვიდეოზარით აქტივაციის მიზნით, გადამხდელის მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ხდება ბანერის არჩევა ( https://eservices.rs.ge/Login.aspx ),




რის შემდეგაც ივსება „სარეგისტრაციო ანკეტა“ ( https://eservices.rs.ge/Registration.aspx ) და რეგისტრირდება გადამხდელის მიერ.




- გადამხდელი პირადი ნომრის, სახელისა და გვარის მითითების შემდეგ, ვიდეოზარით შემოდის აქტივაციის სისტემაში ([https://eservices.rs.ge/Registration.aspx](https://eservices.rs.ge/Registration.aspx) ; [http://video.rs.ge/video1/check/](http://video.rs.ge/video1/check/) )






- სატელეფონო ცენტრის კონსულტანტის ეკრანზე ჩნდება გადამხდელის შემდეგი მონაცემები:  პირადი მონაცემები, გვარი, სახელი, მისალმების ტექსტი.

- კონსულტანტი  სამოქალაქო რეესტრის ბაზაში, პირადი ნომრის საფუძველზე ხსნის  და ვიზუალურად ადარებს გადამხდელის პირად მონაცემებს - გვარი, სახელი, საცხოვრებელი ადგილი, დაბადების ადგილი, მოწმობის გაცემის თარიღი, მოწმობის გამცემი ორგანო, სურათი.

- მოწმდება პირის მიერ შევსებული ანკეტა. ზუსტდება მომხმარებლის სახელი (რამდენიმეს არსებობის შემთხვევაში), ხორციელდება აქტივაცია.

- აქტივაციის წარმატებით  დასრულების შემთხვევაში ეკრანზე გამოდის ფანჯარა „აქტივაცია დამთავრდა წარმატებით.“